



თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №28/4875-14

5 სექტემბერი, 2014 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი  
მოსამართლეები – ნატალია ნაზღაიძე, ნათია გუჯაბიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – ბ. მ., ი. მ., ი. კ., მ. კ., ს. კ., კ. ო., მ. წ., ბ. ფ., ა. ხ., თ. ხ., ლ. ჯ., მ. ი., გ. ი., ა. ი., ე. ლ., რ. მ., ბ. გ.

წარმომადგენელი – ფ. კ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის წარმოებაში მიღება

დავის საგანი – წილზე უფლების აღიარება

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო



საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის განჩინებით მოსარჩელებს - ბ. მ.-ს, რ. მ.-ს, ი. მ.-ს, ი. კ.-ს, მ. კ.-ს, ს. კ.-ს, კ. ო.-ს, მ. წ.-ს, ბ. ფ.-ს, ა. ხ.-ს, თ. ხ.-ს, ზ. ჯ.-ს, ლ. ჯ.-ს, მ. ი.-ს, გ. ი.-ს, ა. ი.-ს, ე. ლ.-ს და ბ. გ.-ს მოპასუხეების - იბა „თ. XX“ თავმჯდომარე ზ. თ.-ს, გ. ა.-ს, კ. ა.-ს, თ. ა.-ს, ი. ა.-ს, ზ. ბ.-ს, მ. ბ.-ს, ი. ბ.-ს, გ. ბ.-ს, ქ. ბ.-ს, მ. ბ.-ს, ო. ბ.-ს, ა. ბ.-ს, გ. ბ.-ს, ნ. ბ.-ს, ნ. ბ.-ს, მ. ბ.-ს, ნ. ბ.-ს, ე. ბ.-ს, ქ. ბ.-ს, გ. ბ.-ს, ი. გ.-ს, ნ. გ.-ს, თ. გ.-ს, რ. გ.-ს, თ. გ.-ს, ნ. დ.-ს, ჯ. დ.-ს, ნ. ე.-ს, ლ. ვ.-ს, ე. ვ.-ს, გ. ხ.-ს, ზ. ხ.-ს, გ. თ.-ს, თ. ი.-ს, ს. კ.-ს, ქ. კ.-ს, ფ. კ.-ს, მ. კ.-ს, ა. კ.-ს, მ. კ.-ს, მ. კ.-ს, თ. კ.-ს, ნ. ლ.-ს, გ. ლ.-ს, დ. ლ.-ს, ლ. ლ.-ს, გ. მ.-ს, ა. ყ.-ს, თ. მ.-ს, დ. მ.-ს, გ. მ.-ს, ბ. ნ.-ს, მ. ნ.-ს, ა. თ.-ს, ტ. ტ.-ს, შ. ტ.-ს, ი. ტ.-ს, ც. ტ.-ს, ო. ქ.-ს, მ. შ.-ს, ო. ჩ.-ს, ფ. კ.-ს, ნ. ჩ.-ს, მ. შ.-ს (შ. ჩ.-ს), გ. ჩ.-ს, გ. ხ.-ს, ტ. ძ.-ს, ლ. ლ.-ს (ძ.), ა. ჭ.-ს, ტ. წ.-ს, ბ. წ.-ს, ნ. ჯ.-ს, ნ. ჯ.-ს, კ. ჯ.-ს, გ. ჯ.-ს, ზ. ჯ.-ს, ნ. წ.-ს, უ. ჯ.-ს, ვ. ი.-ს, მ. ბ.-ს, ნ. ს.-ს, დ. მ.-ს, ლ. ლ.-ს, ც. ლ.-ს, ქ. ქ.-ს, ზ. დ.-ს, ი. ხ.-ს, ლ. მ.-ს, გ. ხ.-ს, ი. ხ.-ს, მ. ს.-ს, ნ. ჯ.-ს, გ. ზ.-ს, ბ. ს.-ს, ნ. გ.-ს, მ. ჭ.-ს, ნ. ს.-ს მიმართ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვათ შემდეგი საფუძვლებით: 1. სასარჩელო მოთხოვნა ბუნდოვანია; 2. არ დასტურდება აღიარებითი სარჩელის აღძვრის მიმართ მოსარჩელების იურიდიული ინტერესი; 3. სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სრულყოფილად (გადახდილია მხოლოდ არაქონებრივი მოთხოვნისათვის), ამასთან, გაურკვეველია, თუ როგორ განსაზღვრეს მოსარჩელებმა სარჩელის ფასი; 4. მოპასუხეების ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართები და მათი პირადი ნომრები სრულყოფილად არ არის მითითებული. ამავე განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც მოპასუხე იბა „თ. XX“-ს ს/კ XXXXXXXXXXX აკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, თ.-ს ქ. №X.X.XX.XX.ა.XX.XX.XX-ში, რომლის საკადასტრო კოდია XX.XX.XX.XXX.XXX გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. ასევე, იბა „თ. XX“-ს ს/კ XXXXXXXXXXX აკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქ. თბილისი, თ.-ს ქ. №X.X.XX.XX.ა.XX.XX.XX-ში, რომლის საკადასტრო კოდია XX.XX.XX.XXX.XXX გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

სააპელაციო პალატა გაეცნო კერძო საჩივარს, შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის შესაბამისად უთხრა უარი მოსარჩელებს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელებმა - მოსარჩელებს - ბ. მ.-მ, რ. მ.-მ, ი. მ.-მ, ი. კ.-მ, მ. კ.-მ, ს. კ.-მ, კ. ო.-მ, მ. წ.-მ, ბ. ფ.-მ, ა. ხ.-მ, თ. ხ.-მ, ზ. ჯ.-მ, ლ. ჯ.-მ, მ. ი.-მ, გ. ი.-მ, ა. ი.-მ, ე. ლ.-მ და ბ. გ.-მ მოპასუხეების - იბა



„თ. XX“ თავმჯდომარე ზ. თ.-ს, გ. ა.-ს, კ. ა.-ს, თ. ა.-ს, ი. ა.-ს, ზ. ბ.-ს, მ. ბ.-ს, ი. ბ.-ს, გ. ბ.-ს, ქ. ბ.-ს, მ. ბ.-ს, ო. ბ.-ს, ა. ბ.-ს, გ. ბ.-ს, ნ. ბ.-ს, ნ. ბ.-ს, მ. ბ.-ს, ნ. ბ.-ს, ე. ბ.-ს, ქ. ბ.-ს, გ. ბ.-ს, ი. გ.-ს, ნ. გ.-ს, თ. გ.-ს, რ. გ.-ს, თ. გ.-ს, ნ. დ.-ს, ჯ. დ.-ს, ნ. ე.-ს, ლ. ვ.-ს, ე. ვ.-ს, გ. ხ.-ს, ზ. ზ.-ს, გ. თ.-ს, თ. ი.-ს, ს. კ.-ს, ქ. კ.-ს, ფ. კ.-ს, მ. კ.-ს, ა. კ.-ს, მ. კ.-ს, მ. კ.-ს, თ. კ.-ს, ნ. ლ.-ს, გ. ლ.-ს, დ. ლ.-ს, ლ. ლ.-ს, გ. მ.-ს, ა. ყ.-ს, თ. მ.-ს, დ. მ.-ს, გ. მ.-ს, ბ. ნ.-ს, მ. ნ.-ს, ა. ჟ.-ს, ტ. ტ.-ს, შ. ტ.-ს, ი. ტ.-ს, ც. ტ.-ს, ო. ქ.-ს, მ. შ.-ს, ო. ჩ.-ს, ფ. კ.-ს, ნ. ჩ.-ს, მ. შ.-ს (შ. ჩ.-ს), გ. ჩ.-ს, გ. ხ.-ს, ტ. ძ.-ს, ლ. ლ.-ს (მ.), ა. ჭ.-ს, ტ. წ.-ს, ბ. წ.-ს, ნ. ჯ.-ს, ნ. ჯ.-ს, კ. ჯ.-ს, გ. ჯ.-ს, ზ. ჯ.-ს, ნ. წ.-ს, უ. ჯ.-ს, ვ. ი.-ს, მ. ბ.-ს, ნ. ს.-ს, დ. მ.-ს, ლ. ლ.-ს, ც. ლ.-ს, ქ. ქ.-ს, ზ. დ.-ს, ი. ხ.-ს, ლ. მ.-ს, გ. ხ.-ს, ი. ხ.-ს, მ. ს.-ს, ნ. ჯ.-ს, გ. ზ.-ს, ბ. ს.-ს, ნ. გ.-ს, მ. ჭ.-ს, ნ. ს.-ს წინააღმდეგ და მოითხოვს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თ. XX“-ის საკუთრებაში არსებული ქონებიდან მოსარჩევეების წილის მიღების უფლების აღიარება, კერძოდ აღიარებულ იქნეს:

1. ბ. მ.-ს უფლება სამოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 119.6 კვ.მ, შემოქმედებითი სახლოსნო ფართით არანაკლებ 135 კვ.მ.
2. რ. მ.-ს უფლება შემოქმედებით სახლოსნოზე ფართით არანაკლებ 112 კვ.მ.
3. ი. მ.-ს უფლება ოროთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 99.7 კვ.მ.
4. ი. კ.-ს უფლება ხუთოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 173,2 კვ. მ;
5. ს. კ.-ს უფლება ხუთოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 173,2 კვ. მ;
6. მ. კ.-ს უფლება ოთხოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 143.7 კვ. მ;
7. კ. ო.-ს უფლება ოთხოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 143.7 კვ. მ;
8. მ. წ.-ს უფლება სამოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 138.2 კვ. მ;
9. ბ. ფ.-ს უფლება ოროთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 99.7 კვ. მ;
10. ა. ხ.-ს უფლება სამოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 138.2 კვ. მ;
11. თ. ხ.-ს უფლება ოროთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 99.7 კვ.მ.
12. ლ. ჯ.-ს უფლება ხუთოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 173,2 კვ. მ;
13. ბ. გ.-ს უფლება ხუთოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 173,2 კვ. მ;
14. გ., ა. და მ. ი.-ების უფლება სამოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 138.2 კვ. მ (როგორც გურამ ინაძის სამართალმემკვიდრეების);
15. გ. ი.-ს უფლება სამოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 138.2 კვ. მ;
16. ა. ი.-ს უფლება ოთხოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 143.7 კვ. მ;
17. მ. ი.-ს უფლება ოროთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 99.7 კვ. მ;
18. ე. ლ.-ს უფლება ოთხოთახიან საცხოვრებელ ბინაზე, საცხოვრებელი ფართით არანაკლებ 143.7 კვ. მ.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელში უნდა აღინიშნოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ამდენად, სასამართლო აღიარებით სარჩელს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს წარმოებაში, თუ აღიარებითი სარჩელის მიმართ მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მიკუთვნებითი მოთხოვნის არარსებობა და მხოლოდ აღიარებითი მოთხოვნის მიმართ ინტერესი. თუ აღიარებითი მოთხოვნის ინტერესი მიკუთვნებითი ხასიათისაა, მაშინ აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებით სასამართლო პროვოცირებას გაუკეთებს ერთ სასარჩელო მოთხოვნაზე ორმაგი სასარჩელო წარმოების წარმართვის აუცილებლობას, რაც ეწინააღმდეგება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების წარმართვისა და სასამართლოს ეკონომიურობის ძირითად პრინციპს. აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების მიზნებისათვის იურიდიული ინტერესის არსებობა სარჩელის წარმოებაში მიღების ერთ-ერთი და არა ერთადერთი წინაპირობაა.

პალატა აღიარებითი სარჩელის არსის დადგენის მიზნებისათვის განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის მოთხოვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადგენა, დოკუმენტის ნამდვილობის ან სიყალბის დადასტურება. აღიარებითი სარჩელი, თავისი სამართლებრივი ბუნებით, უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენას ჰგავს, თუმცა, აღიარებითი სარჩელი უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან მკვეთრად განსხვავებული საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტია. აღიარებითი სარჩელის არსებობის პირობებში არსებობს დავა მხარეებს შორის. აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობას მხოლოდ დარღვეული უფლების ან შელახული ინტერესის არსებობის ფაქტი არ წარმოადგენს. შესაძლებელია, რომ უფლება არც იყოს დარღვეული და არც ინტერესი იყოს შელახული, თუმცა, აუცილებელია, რომ უფლება სადავო იყოს. შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის აღძვრის ერთ-ერთ წინაპირობას უფლებისა, თუ სამართლებრივი ინტერესის სადავოობა წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტის აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უდავო წარმოების წესით საქმის განხილვის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს. შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი უნდა აღძრას საამისოდ უფლებამოსილმა სუბიექტმა და სარჩელზე მოპასუხედ დასახელებული უნდა იყოს ის, ვისთანაც მოსარჩელეს უფლება, თუ სამართლებრივი ინტერესი სადავო აქვს.

განსახილველ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის დასაბუთების მიზნებისათვის, უნდა იკვეთებოდეს ის ფაქტი, რომ უფლება, რომლის აღიარებასაც მოსარჩელეები მოპასუხეებისაგან მოითხოვენ, სადავოა. მოდავე მხარეს კი სწორედ მოპასუხეებად დასახელებული პირები უნდა წარმოადგენდნენ, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. გარდა ამისა, სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოსარჩელეებმა უნდა დაასაბუთონ, თუ ვინ არიან იმ ფართების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტები, რომელზეც მოსარჩელეები უფლების აღიარებას მოითხოვენ, ვინაიდან აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება სამომავლოდ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობა შეიძლება გახდეს. მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის პირობებში, აღიარებით სარჩელში



დასახელებული მოპასუხეები ქონებრივი სიკეთის გადაცემაზე (მიკუთვნებაზე) უფლებამოსილი პირები უნდა იყვნენ. ამასთანავე, არ დგინდება, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი სუბიექტი იმ შემთხვევაში, თუ აღიარებითი მოთხოვნის შესაბამისად არ მოხდება მოსარჩელებისათვის მოთხოვნილი ფართების მიკუთვნება. ამდენად, წარმოდგენილი აღიარებითი სარჩელის პირობებში საქმის განხილვის შემთხვევაში უნდა იკვეთებოდეს, რომ მოპასუხეები სარჩელში დასახელებული ფართების მოსარჩელებისათვის გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტები არიან, ასევე უნდა დასტურდებოდეს, რომ აღნიშნული ფართების მოსარჩელებისათვის გადაცემა მოპასუხეთა მხრიდან შეცილებული ან სადავოა. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ აღიარებით სარჩელში მოპასუხედ დასახელებული პირების სამომავლოდ აღსაძრავ მიკუთვნებით სარჩელზე დასახელებული მოპასუხეები შეიძლება იყვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ქონებრივი პასუხისმგებლობა დასახელებულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით ცალსახად და არაორაზროვნად უნდა დასტურდებოდეს. საგულისხმოა ასევე, რომ ამგვარ სარჩელში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ მოპასუხედ დასახელებული პირები მოსარჩელებისათვის სადავო ფართის გადაცემას რა საფუძვლით ხდიან სადავოდ, და თუ სადავოდ არ ხდიან, რატომ არიან აღნიშნულ სარჩელზე მოპასუხეებად დასახელებულნი.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ ბ. მ.-ს, ი. მ.-ს, ი. კ.-ს, მ. კ.-ს, ს. კ.-ს, ვ. ო.-ს, მ. წ.-ს, ბ. ფ.-ს, ა. ხ.-ს, თ. ხ.-ს, ლ. ჯ.-ს, მ. ი.-ს, გ. ი.-ს, ა. ი.-ს, ე. ლ.-ს, რ. მ.-ს, ბ. გ.-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2, მე-3, 178-ე, 180-ე, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 420-ე მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა

1. ბ. მ.-ს, ი. მ.-ს, ი. კ.-ს, მ. კ.-ს, ს. კ.-ს, ვ. ო.-ს, მ. წ.-ს, ბ. ფ.-ს, ა. ხ.-ს, თ. ხ.-ს, ლ. ჯ.-ს, მ. ი.-ს, გ. ი.-ს, ა. ი.-ს, ე. ლ.-ს, რ. მ.-ს, ბ. გ.-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაძე

ნათია გუჯაბიძე